
სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

პრესა და მორალური ზიანი

ლიკა საჯანია*

I. შესავალი

მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა. საბჭოთა კანონმდებლობა არ ცნობდა ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვათა ფულადი ანაზღაურების შესაძლებლობას. მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებას რომში ჩაეყარა საფუძველი. რომაული სამართლის მიხედვით, შეურაცხყოფისათვის გარკვეული კომპენსაცია, ანუ ფიქსირებული თანხის გადახდა, იყო საჭირო. რომელი დიდგვაროვნები სეირნობდნენ ქალაქის მთავარ მოედანზე და სილას აწნავდნენ მათ, ვინც თვალში არ მოუვიდოდათ. უკან მონა მიჰყვებოდათ ქისით ხელში და თითოეული დარტყმისათვის იხდიდა კანონით დადგენილ საფასურს. აქედან გამომდინარე, მომჩივანი აღარავინ იყო.¹

საქართველოში მორალური ზიანის ანაზღაურების სასამართლო პრაქტიკის შექმნაში უდიდესი როლი პოლიტიკოსებმა შეასრულეს. მათ ყველაზე უკეთ აუღეს ალლო კანონის სიახლეს და საკუთარი ნეგატიური განცდებიც და სულიერ-ფსიქიკური ტანჯვაც საკმაოდ ძვირად შეაფასეს. თანდათან მორალური ზიანის ანაზღაურების სასამართლო პრაქტიკა პოლიტიკოსებსა და მედიას შორის ბრძოლას დაემსგავსა. რიგითი ქართველის მორალური ტანჯვა კი სასამართლოს განხილვის საგანი იშვიათად ხდებოდა. შესაძლოა, მიზეზი სამართლებრივი ინფორმირებულობის ნაკლებობა იყო ან იმედის უქონლობა, რომ მათ მორალურ ზიანს ვინმე აანაზღაურებდა.

სულ სამიოდ წელიწადია, რაც რიგითი ქართველები მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ. უფლების დამრღვევის როლში უმეტეს შემთხვევაში პრესა გამოდის. აქ კი თავისთავად ჩნდება პრობლემა – მორალური ზიანის ანაზღაურებამ არ გამოიწვიოს პრესის თავისუფლების დაუზღუბებელი შეზღუდვა. მსგავსი საკითხის გადაწყვეტისას მთავარი პრობლემა ხდება ბალანსის გამოძებნა გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემას შორის. მით უმეტეს, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის შენების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვისა და მედიის თავისუფლების საკითხს.

უზენაესი სასამართლოს 3კ-1483-02 გადაწყვეტილება² რამდენიმე კუთხით არის საინტერესო: პირველ რიგში იმიტომ, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს არა საზოგადოებისათვის ცნობილი სახე (ასეთი შემთხვევები შედარებით ხშირია ქართულ სასამართლო პრაქტიკაში), არამედ რიგითი მოქალაქე და, მეორეც, დაზარალებული მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს საკუთარი გამოსახულების გამოქვეყნებით დარღვეული უფლების გამო, რაც აგრეთვე იშვიათობაა ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის.

* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური.

¹ *Mayne, A Treatise of Damages, 1909, 53.*

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2003, 6.

II. საქმის გარემოებანი

მოსარჩელემ საქართველოში ერთ-ერთ მაღალტირაჟიან გაზეთს უჩივლა და მოითხოვა მორალური ზიანის 5000 ლარის ოდენობით ანაზღაურება შემდეგი საფუძვლით: მან მეზობლისგან შეიტყო, რომ ერთ-ერთი სტატიის საილუსტრაციოდ, მასთან შეთანხმების გარეშე, მისი სურათი იყო გამოქვეყნებული. სტატია მიმოიხილავდა ჩიყვის, როგორც ავადმყოფობის, ისტორიას. მოუწოდებდა მკითხველს, გამოეყენებინა იოდიზებული მარილი ჩვეულებრივის ნაცვლად. ავადმყოფობის მძიმე შედეგის თვალსაჩინოებისათვის კი წარმოდგენილი იყო მოსარჩელის სურათი, ყელის არეში სიმსივნური წარმონაქმნით, ავადმყოფობის გამო დამახინჯებული.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მისი ნებართვის გარეშე ფოტოსურათის გამოქვეყნება, მით უფრო, ასეთი დამახინჯებული იერით, ლახავს კანონით დაცულ მის უფლებას. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ მას არ ჰქონდა განზრახვა, კონკრეტულად მოსარჩელის სურათი გამოქვეყნებინა. ამასთან, გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე თვალები დაფარულია შავი შტრიხით, რაც გამორიცხავს მის ბრალს და, შესაბამისად, მატერიალურ პასუხისმგებლობას.

საქმე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ განიხილა. 2001 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე თვალების შავი შტრიხით დაფარვა გამორიცხავს მოპასუხის განზრახვას (ბრალს). თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

III. თბილისის საოლქო სასამართლოს შეფასება და კვალიფიკაცია

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაზეთს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 500 ლარის გადახდა.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლ, მე-2, მე-5 და მე-6 ნაწილებზე და მიიჩნია, რომ პირის გამოსახულების გამოქვეყნებას სჭირდება მისი ნებართვა, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც კანონითაა დადგენილი. კერძოდ, მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პირის თანხმობა მისი გამოსახულების გამოქვეყნებაზე მხოლოდ მაშინ არ არის საჭირო, როცა „ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადოებრივ ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისთვის მიიღო საზღაური“. ვინაიდან არცერთი ეს შემთხვევა მოცემულ საქმეზე არ არსებობდა, პირის თანხმობა საჭირო იყო. სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზეც: მიუხედავად იმისა, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ მოსარჩელის სურათს თვალების არეში აქვს შავი შტრიხი, მისი შეცნობა მაინც ხდება, ვინაიდან მას იშვიათი დამახასიათებელი ნიშანი აქვს ყელის არეში სიმსივნის სახით. პალატამ მიიჩნია, რომ მნიშვნელობა არ აქვს იმას, რამდენი მკითხველი შეიცნობდა მოსარჩელეს სურათზე, საკმარისი იყო, თვითონ დაენახა თავისი დამახინჯებული სახე გაზეთში, რომ განეცადა სულიერი ტკივილი. მიუხედავად იმისა, რომ სურათზე თვალები შავი შტრიხითაა დაფარული, გაზეთს ამ სურათის გამოქვეყნებისას უნდა დაეშვა იმის შესაძლებლობა, რომ დაზარალებულს იცნობდნენ. სასამართლოს შეხედულებით, სახეზეა ბრალი, რის გამოც გაზეთმა პასუხი უნდა აგოს მე-18 VI მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს არაქონებრივი მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

აღნიშნული გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. კასატორმა მიიჩნია, რომ სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი არაგონივრულად განსაზღვრა. კასატორის აზრით, სასამართლოს თანხის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიეღო მოსარჩელის ეკონომიკური და სოციალური პირობები, კერძოდ ის, რომ მისი ოჯახი შედგება 5 სულისაგან, რომელთაგან დღევანდელი მდგომარეობით ყველა უმუშევარია. მოპასუხე კი მაღალტირაჟიანი გაზეთია და სარჩელით მოთხოვნილი თანხის (5000 ლარის) მთლიანად დაკისრება არ ჩააყენებს მას მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში.

სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე ასევე გაზეთმაც შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომელიც უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 19 მარტის საოქმოდ განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული, როგორც დავის საგნის გამო დაუშვებელი.

IV. უზენაესი სასამართლოს მოტივაცია

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს და კასატორის საჩივრის უსაფუძვლობა დაასაბუთა შემდეგი გარემოებებით: პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მორალური ზიანისათვის ასანაზღაურებელი თანხა უნდა განესაზღვრა მოსარჩელის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე I მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც: „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“, მიიჩნია, რომ მოპასუხეს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად უნდა დაეკისროს 500 ლარი. სასამართლომ დაასაბუთა, თუ რა საფუძველით მიიჩნია აღნიშნული თანხა გონივრულად და სამართლიანად. კერძოდ, მიუთითა, რომ 413-ე I მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო მორალური ზიანის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს არა დაზარალებულის ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ ბრალის სიმძიმის ხარისხს, მოპასუხის ქონებრივ მდგომარეობასა და მორალური ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ, პრევენციულ და რეპრესიულ მიზანს.

პალატამ განმარტა, რომ დიფამაციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ხდება არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია, არამედ ხელყოფილი მიყენებული ფიზიკური თუ სულიერი ტკივილის მორალური კომპენსაცია. ამდენად, ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას საკმარისი არ არის მარტოდენ ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინება, როგორც ეს კასატორს მიაჩნია.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით³ და კასატორის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

V. კომენტარი

სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა შეფასება და გადანყვეტილების მოტივაცია რამდენიმე ასპექტითაა გასაანალიზებელი. კერძოდ, ყურადღებას იმსახურებს მოპასუხის

³ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი მიუთითებს, რომ „საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი, ბ) სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა“.

ბრალის შეფასების, კომპენსაციის ოდენობის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნების შესახებ სასამართლოს მოსაზრებანი.

1. ბრალი

ნიშნდობლივია, რომ საქმე სამი ინსტანციის სასამართლომ განიხილა და ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულად გაიგო მოპასუხის ბრალის არსებობა და ხარისხი. რაიონულ სასამართლოში მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ მას არ ჰქონდა განზრახვა – სწორედ მოსარჩელის სურათი გამოექვეყნებინა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს, ვისი უფლების დარღვევის სურვილი ჰქონდა მოპასუხეს. მთავარია, მან გააზრებულად დაარღვია სხვა პირის უფლება და დაზარალებულს შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნა. მოპასუხეს რომ უშუალოდ მოსარჩელის უფლების დარღვევის სურვილი ჰქონოდა, ეს უკვე სამართალდარღვევის სხვა მიზანზე მიუთითებდა და არა ბრალსა და ბრალის ხარისხზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ გაზეთში ფოტოსურათზე თვლების შავი შტრიხით დაფარვა გამორიცხავს მოპასუხის ბრალს.

გაუგებარია, თუ რატომ უნდა გამოერიცხა სასამართლოს ბრალის არსებობა ამ საფუძვლით. ბრალი სახეზე არ იქნებოდა, თუ პირს არ ჰქონდა სამართალდარღვევის ჩადენის სურვილი, ან თუ მას ვერ წარმოედგინა, რომ თავისი ქმედებით ვინმეს უფლებას ლახავდა. თვლების შავი შტრიხით დაფარვა ამ ორიდან ვერც ერთს ვერ გამორიცხავს. რაკი მოპასუხემ განიზრახა, დაზარალებულის სურათი იმგვარად „შეენიღა“, რომ მასზე გამოსახული პირი ვერ ეცნოთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის აცნობიერებდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობას, ანუ იცოდა, რომ ლახავდა სხვა პირის უფლებას და მაინც, საკუთარ ქმედებაზე უარი არ თქვა.

მოპასუხის ბრალზე საუბარი უზენაესი სასამართლოს განჩინებაშიც არის, თუმცა აქაც საკმაოდ გაურკვეველად. მოსარჩელემ მორალური ზიანის კომპენსაციისათვის 5 000 ლარი მოითხოვა, ხოლო საოლქო სასამართლომ მოპასუხეს 500 ლარის გადახდა დააკისრა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა. უზენაესმა სასამართლომ კი საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად რამდენიმე ფაქტორთან ერთად მოპასუხის ბრალის ხარისხიც მოიყვანა, თუმცა არ მიუთითა, რატომ იყო მოპასუხის ბრალის ხარისხი იმდენად მცირე, რომ მან მოთხოვნილი თანხის 10-ჯერ შემცირება გამოიწვია. ფოტოსურათის გამოქვეყნება მასზე გამოსახული პირის თანხმობის გარეშე ნებისმიერ შემთხვევაში მიიჩნევა პიროვნების უფლების დარღვევად. სამართალდარღვევა კი შეიძლება მიზნად ისახავდეს როგორც გამოსახულებაზე აღბეჭდილი პირის დისკრედიტაციას, ისე მათი გამოსახულების გამოყენებას რეკლამის მიზნით, ამა თუ იმ პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა იდეების სასარგებლოდ. აღნიშნულ შემთხვევაში ჟურნალისტიკა თავისი სტატიის თვალსაჩინოებისათვისა და სტატიაში მოყვანილი აზრების დასადასტურებლად გამოიყენა აღნიშნული ფოტოსურათი. მართალია, იგი მიზნად არ ისახავდა გამოსახულებაზე აღბეჭდილი პირის დისკრედიტაციას, მაგრამ ეს მხოლოდ სამართალდამრღვევის მიზანზე მიუთითებს და არა ბრალის ხარისხზე.

საინტერესოა ერთი რამეც: საქმეში არსად ჩანს, თუ საიდან გახდა მოპასუხისათვის ხელმისაწვდომი მოსარჩელის სურათი. სასამართლო ამ საკითხით უნდა დაინტერესებულიყო და ამის შემდეგ უფრო შედეგიანი იქნებოდა მოპასუხის ბრალსა და ამ ბრალის ხარისხზე საუბარი.

2. კომპენსაციის ოდენობის დადგენა

ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრობლემური საკითხი, არა მარტო ამ კონკრეტულ საქმეში, არამედ, ზოგადად, მორალური ზიანის განსაზღვრისას, არის კომპენსაციის ოდენობის დადგენა.

საქართველოს სასამართლოებში მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმის განხილვა მარტივად და ერთნაირი სქემით წყდება: სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლების გამოყენებაზე, ამცირებს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნილ ოდენობას, მინიმუმ, ხუთჯერ და, რაც მთავარია, საკმაოდ მწირად და არასრულყოფილად მიუსადაგებს საკუთარ გადანყვეტილებას 413-ე მუხლის მოთხოვნებს.

ნიშანდობლივია, რომ კანონმდებელმა არ მიუთითა, თუ რა იგულისხმება გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებაში. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა შესაძლოა, ერთი მხრივ, კარგიც იყოს, რადგანაც მორალური ზიანის შემთხვევაში საკმაოდ ძნელია, ფულით გაიზომოს ტანჯვის სიმწვავე თუ ნეგატიური განცდების სიმძიმე. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანიც და ამ ზიანის აღქმაც მკაცრად ინდივიდუალური იქნება. შესაძლოა, ამიტომაც კანონმდებელმა მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა მიანდო მოსამართლის თავისუფალ ნებას. თუმცა უპირანი იქნება, მოსამართლის შეფასებას, გონივრულობისა და სამართლიანობის ინდივიდუალურ აღქმასთან ერთად, სამართლებრივი კონცეფციები და პრინციპებიც ედოს საფუძვლად.

საქართველოში მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის დადგენის შესახებ შემდეგი მოსაზრებებია გამოთქმული:

„სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხარისხი. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე... გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხს, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას“;⁴

„მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის მიმართ, ისე ობიექტური გარემოებანი. ამ გარემოებათა შორის ერთ-ერთია დაზარალებულის ცხოვრების პირობები (სამსახურებრივი, საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.)“;⁵

„თვით კომპენსაცია საკმაო მოცულობის უნდა იყოს, რათა იგი გამოყენებულ იქნეს როგორც სანქცია სამართალდარღვევისათვის. პირი, რომლის უფლებაც შელახულია, მხოლოდ მაშინ იქნება დაკმაყოფილებული, როცა მან იცის, რომ ზიანის მიმყენებლის მიმართ გამოყენებულ იქნა ისეთი სანქცია, რომელიც ამ უკანასკნელისათვის მართლაც მტკივნეულია“.⁶

განსახილველ საქმეში მოსარჩელე ზიანის ასანაზღაურებლად 5 000 ლარს ითხოვდა. მას არგუმენტად მოჰყავდა ოჯახის მრავალრიცხოვნობა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები. მოსარჩელე იმასაც მიუთითებდა, რომ მოპასუხე საკმაოდ მაღალტირაჟიანი გაზეთია და მოთხოვნილი თანხის (5000 ლარის) გადახდა მას არ ჩააყენებდა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში.

⁴ ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, 1998, 88.

⁵ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 474.

⁶ ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 1999, 75.

უზენაესი სასამართლოს პალატამ განმარტა, რომ დიფამაციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ხდება არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია, არამედ ხელყოფით მიყენებული ფიზიკური და სულიერი ტკივილის მორალური კომპენსაცია. კომპენსაციის მიზანია, მორალური ზიანით გამონეული ტკივილების შემსუბუქება. დაზარალებულის დაკმაყოფილებას გულისხმობს მორალური ზიანის ე.წ. სატისფაქციური მიზანი. თუ საკითხს ამ კუთხით შევხედავთ, გამოდის, რომ დაზარალებულმა თავისი ტკივილის შემსუბუქება 5 000 ლარად „შეაფასა“, ხოლო პალატამ ეს თანხა 10-ჯერ შეამცირა. საეჭვოა, რომ 10-ჯერ შემცირებული თანხა მოახდენს ტკივილის შემსუბუქებას, ანუ შესაძლებელი იქნება მიზნის მიღწევა. დაზარალებულს ტკივილის შემსუბუქების განცდას ისიც ანიჭებს, რომ დამნაშავე დაისაჯა არა სიმბოლურად, არამედ მისმა ქონებამ დანაკლისი განიცადა.

3. მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნები

სასამართლომ გადაწყვეტილების დასასაბუთებლად მორალური ზიანის ანაზღაურების სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული მიზნებიც მოიყვანა.

სატისფაქციური მიზანი დაზარალებულის დაკმაყოფილებას ნიშნავს. აქ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მორალურ დაკმაყოფილებაზეა საუბარი. თუმცა, რაკი დაკმაყოფილება ფულის გადახდით ხდება, ფული კი თავისთავად მატერიალური ფასეულობაა, შეუძლებელია, ამ ფუნქციის განხილვისას ყურადღება არ მივაქციოთ დაზარალებულის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ეს უკანასკნელი მოსამართლემ ყურადღების გარეშე დატოვა. უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებას ასაბუთებს და მას სამართლიანობისა და გონივრულობის ჩარჩოში სვამს მხოლოდ მოპასუხის ქონებრივ მდგომარეობაზე, ბრალის ხარისხსა და სასჯელის მიზნებზე დაყრდნობით. არანაირად არ არის მითითებული თავად დაზარალებულის სუბიექტური ფაქტორის როლი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას.

ქონებრივი ზიანის დროს კომპენსაციის ოდენობის დადგენა იოლად ხდება. ამ შემთხვევაში თვითონ ქონებაა საზომი და დაზარალებულის პიროვნებას არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება. არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. მორალური ზიანის მასშტაბები თვით დაზარალებულის პიროვნებაში უნდა ვეძიოთ, ხოლო კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას დაზარალებულის მდგომარეობის სრული იგნორირება გაუმართლებელია. ამგვარი მიდგომით სატისფაქციური მიზანი ვერ იქნება მიღწეული.

რეპრესიული მიზანი ზიანის მიმყენებელზე ზემოქმედებას გულისხმობს. ამ მიზნის განხილვისას სამართალდამრღვევის ქონებრივ მდგომარეობასაც უნდა მიექცეს ყურადღება, ანუ პასუხისმგებლობა იმდენი უნდა იყოს, რომ გაზეთს აღარასდროს გაუჩნდეს მსგავსი სამართალდარღვევის სურვილი. საკითხავია, ხუთასი ლარის დაკისრება მოიტანს ამ შედეგს? შესაძლოა, გაზეთს არც ერთი კონკრეტული ფოტოსურათი არ უღირდეს 500 ლარი, მაგრამ ამაზე გაცილებით მეტი არ უღირს საკუთარი იდეების, შეხედულებების, მოსაზრებების რეკლამირება და მათი მეტად დასაბუთება? ფოტოსურათი ხომ სწორედ სტატიაში განვითარებული აზრების დასადასტურებლად იყო მოყვანილი. აქვე ერთი რამეც საინტერესოა. სტატია, როგორც აღვნიშნეთ, შეეხებოდა იოდიზებული მარილის გამოყენებას. სასამართლო არ დაინტერესებულა, ხომ არ იყო ეს სარეკლამო შინაარსის მასალა? სტატიის გაშვება ხომ არ მომხდარა იოდიზებული მარილის მწარმოებლის ან იმპორტიორის დაკვეთით? ამ საკითხის გარკვევას მოცემულ შემთხვევაში შეეძლო, კომპენსაციის ოდენობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა.

და ბოლოს, პრევენციული მიზანი გულისხმობს, თავიდან იქნეს აცილებული პიროვნების უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. როგორც ზემოთ აღვნიშნა, თუკი საქართველოს

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

სასამართლოების პრაქტიკიდან ვიმსჯელებთ, მორალური ზიანის მიმყენებლის როლში უმეტეს ნილად პრესა გამოდის ხოლმე. ამიტომაც პასუხისმგებლობის პრევენციულ მიზანს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მართალია, სასამართლოები ცდილობენ, საკუთარი გადაწყვეტილებით პრესის თავისუფლება არ შეზღუდონ, მაგრამ პასუხისმგებლობის შემცირებით შესაძლოა, პრევენციული მიზანი ვერ მიიღწეს და პრესის თავისუფლების განხორციელებას შედეგად სხვა პირთა უფლებების დარღვევა მოჰყვეს.

აქედან გამომდინარე, მსგავსი საქმეების განხილვისას სასამართლოები მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრას. მათ მეტად უნდა დაასაბუთონ, რა საფუძვლებითა და რომელ გარემოებებზე დაყრდნობით მოაქციეს დაკისრებული თანხა გონივრულობისა და სამართლიანობის ჩარჩოში. სამოქალაქო კოდექსში კონკრეტულად მორალურ ზიანს მხოლოდ ორი მუხლი უკავშირდება. როდესაც ასეთი მწირია საკანონმდებლო ბაზა, სასამართლო პრაქტიკამ და სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებათა დასაბუთებამ აღნიშნული სფეროს სრულყოფილად მოსაწესრიგებლად გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.